

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ამერიკათმცოდნეობა

ლენგსტონ ჰიუზი: გზა პროტესტიდან სულიერებამდე აფრო-ამერიკული  
ისტორიის კონტექსტში

გიორგი შადური

სადოქტორო დისერტაციის  
ავტორეფერატი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მიოსაპოვებლად  
(ამერიკათმცოდნეობის სპეციალობით)

თბილისი, 2010

ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. ნათელა დოდონაძე

.....

ექსპერტი: პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილი

.....

ოპონენტები:

ასოც. პროფ. დოქტ. ლალი ჯოხაძე

.....

პროფ. დოქტ. თემურ კობახიძე

.....

დისერტაციაში დასმული პრობლემა უკავშირდება ახალი ხედვის აუცილებლობას, რომელიც ასოცირდება აფრო-ამერიკელი პოეტის ლენგსტონ ჰიუზის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციო-კულტურული ეპოქის მოსვლის შემდეგ.

ლიტერატურული მემკვიდრეობის გაგება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კუთხით განხილავს მას მკითხველი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლენგსტონ ჰიუზის ნამუშევრები მნიშვნელოვანია როგორც სოციალური, ისე ლიტერატურული პროცესების თვალსაზრისით, რომლებიც მიმდინარეობდა ამერიკულ საზოგადოებაში XX საუკუნის პირველ ნახევარში. სწორედ ამიტომ ამოვიჩინეთ ჩვენ შესწავლის ობიექტად მისი ნამუშევრები, რისთვისაც ჩვენ გვესაჭიროებოდა მოგვენახა ის კუთხე, რომლითაც ჩვენ მათ გავაანალიზებდით.

XXI საუკუნის მოსვლასთან ერთად, თანამედროვე სოციალური პრობლემების მრავალი ასპექტი ექვემდებარება გადახედვასა და გადასინჯვას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლენგსტონ ჰიუზის პოეზია საჭიროებს ასეთ განახლებულ ანალიზს (ლიტერატურული, მუსიკალური, ისტორიული, სოციალური და სულიერი თვალსაზრისით), იმისათვის რომ იგი უკეთ იქნეს გაგებული.

XX საუკუნეში, განსაკუთრებით კი ცივი ომის ხანაში, დომინირებდა ორი პოლარული ფილოსოფიურ-იდეოლოგიური ტენდენცია, რომელთაგან თითოეული აცხადებდა პრეტენზიას ყოფილიყო საყოველთაო და უდავო: იდეალისტური მიდგომა და მატერიალისტური მიდგომა. ამ ორ მოძღვრებას შორის მიმდინარეობდა ისეთი გაცხარებული დავა, რომ დასავლეთის ლიბერალური მეცნიერები და კრიტიკოსებიც კი მიდრეკილნი იყვნენ სტერეოტიპულად მიეკუთვნებნათ ფილოსოფიური თუ ლიტერატურული ნამუშევრები ან პირველ ან მეორე ბანაკს. ლიტერატურაში ეს სტერეოტიპიზაცია ძალიან მკაფიოდ მჟღავნდებოდა. თუკი მწერალი ან პოეტი გამოხატავდა თავის აზრს, რომელიც განსხვავდებოდა გაბატონებული ლიბერალური თვალსაზრისისაგან, მას ადვილად მიუგებდნენ ადგილს მემარცხენე თუ მემარჯვენე ბანაკში, დაუმახდნენ რადიკალს, ან, პირიქით, კონსერვატორს. მაგალითად, თავისი „პირუტყვების ფერმის“ გამო, ჯორჯ ორუელი შერაცხული იყო „პროგრესულ“, მემარჯვენე მწერლადაც კი, მაშინ როდესაც სინამდვილეში ავიწყდებოდათ, რომ იგი რჩებოდა სოციალისტური (სოციალ-დემოკრატიული) შეხედულებების ერთგული და არასოდეს მიუტოვებია სოციალისტური მოძღვრების ბანაკი.

ამის გამო, ლიტერატურა, რომელიც ასოცირებულია რასობრივ და სოციალურ პრობლემებთან, ჯერ კიდევ უფრო საგულდაგულოდ არის შესასწავლი. XX საუკუნის პირველი ნახევარი ხასიათდებოდა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი რასობრივი ცრურწმენებითა

და ცრუ შეხედულებებით დემოკრატიზაციისა და შემწყნარებლობისაკენ მიმდინარე პროგრესის მიუხედავად. აფრო-ამერიკული ლიტერატურის ასეთი წარმომადგენლობითი მაგალითი, როგორცაა ჰარლემის რენესანსი, ასახავს იმ პრობლემებს, რომლებიც დაგროვდა იმ წლებში ამერიკულ საზოგადოებაში. ამ ლიტერატურულმა მოძრაობამ გადასინჯა და გადახედა აფრო-ამერიკული ისტორიის ბევრი ასპექტი, რამაც სტიმული მიცა ლიტერატურულ, კულტურულ და სოციალურ ინოვაციებს, რომლებიც ასოცირდებოდა რასობრივ პრობლემებთან ამერიკულ საზოგადოებაში. ამავე დროს, ამ მოძრაობის მწერლები იყვნენ პირველი მნიშვნელოვანი მაცნეები, რომლებმაც აუწყეს ამერიკულ საზოგადოებას ამერიკის შეერთებული შტატების ფერადკანიანი ადამიანების ლიტერატურული ნიჭის შესახებ. მათ აიძულეს თავიანთი თეთრი თანამემამულეები და, საერთოდ, თეთრკანიანი საზოგადოება, გაეაზრებინათ, რომ აფრო-ამერიკელების უფლება ამერიკულ ოცნებაზე ჯერ კიდევ მოსაპოვებელი იყო და რომ ჭეშმარიტი თავისუფლება ჯერ კიდევ არ იქნა მიღწეული. ამავე დროს, ამ მწერლებმა და პოეტებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ აფრო-ამერიკელების ტრადიცია, მოახდინეს რა მისი ისეთი ელემენტების ინკორპორირება თავიანთ ნამუშევრებში, როგორებიცაა ხალხური ენა და სულიერი საგანძური. შეერთებული შტატების შიდა პოლიტიკაში უკანასკნელი პროცესების კვალზე, როდესაც, პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში, სახელმწიფოს წინამძღოლად არჩეულ იქნა აფრო-ამერიკელი, წინამდებარე დისერტაცია იძენს თავის **მნიშვნელობას**, შემოაქვს რა ახალი ხედვა საკითხებზე, რომლებიც ადრე სხვადასხვანაირად მუშავდებოდა სხვადასხვა მეცნიერის მიერ.

ეს აგრეთვე განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ქართული საზოგადოებისათვის, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია, რომელიც ჯერ სწავლობს, თუ რა არის დემოკრატია და რომელიც ნელა, მაგრამ უეჭველად ემშვიდობება თავის ტოტალიტარულ წარსულს. სასწავლო ჯერ კიდევ ბევრია, განსაკუთრებით ნაციონალური, სოციალური და რასობრივი შემწყნარებლობის კუთხით - იმ პრობლემების კუთხით, რომლებმაც გასაკუთრებით მწვავედ იჩინეს თავი სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დანგრევის შემდეგ, რასაც მოყვა ეთნიკური კონფლიქტები, სამოქალაქო ომი და ეროვნული შეუმწყნარებლობა, რაც წარმოადგენს საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურის უეცარი და სწრაფი ცვლილებების ლოგიკური შედეგს.

ნაწილობრივ თავისი ისტორიის გამო, რომელიც ორიენტირებული იყო ინდივიდის გადარჩენაზე, ნაწილობრივ კი არაპლურალისტური საბჭოთა წარსულის გამო, საქართველოს საზოგადოება ხშირად მიდრეკილია იაზროვნოს ერთხაზოვნად, ახდენს სოციალისტური დროის ფასეულობების რადიკალურად უარყოფას, მაშინ როდესაც რელიგიური აღორძინება, რომელსაც ადგილი აქვს დღესდღეობით, ხშირად იძენს რელიგიური შეუმწყნარებლობის

ხასიათს. არა მარტო ფართო საზოგადოებრიობა, არამედ ინტელექტუალების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რელიგიური ცნობიერება შეუთავსებელია სოციალ-დემოკრატიულ, სოციალისტურ იდეებთან. სიტყვა „სოციალისტური“ საგინებლად იქცა, მაშინ როდესაც ჩვენ გვავიწყდება, რომ სოციალისტური იდეები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ დასავლელი ინტელექტუალების აზროვნებაში. წინამდებარე დისერტაცია იკვლევს, თუ როგორ ახერხებს ლენგსტონ ჰიუზის პოეზია შეახამოს ეს ორი მომენტი. ამიტომ, ჩვენს ქვეყანაში კოლექტიური აზროვნების თვალსაზრისით, კვლევა **აქტუალურია**, რადგან იგი გვასწავლის ვუყუროთ ამ, ერთის შეხედვით, შეუთავსებელ კომპონენტებს ერთ ერთობლიობაში.

ჩვენი კვლევის **ჰიპოტეზა** ეფუძნება შემდეგ დებულებებს:

1) ისევე როგორც რასობრივი/სოციალური პროტესტი და რელიგიური სულიერება ინტენსიურადაა წარმოდგენილი აფრო-ამერიკული კულტურის ისტორიაში, ეს ორი კომპონენტი ინტენსიურადაა წარმოდგენილი ლენგსტონ ჰიუზის შემოქმედებაში. როგორც პროტესტის პოეტი, ლენგსტონ ჰიუზი გვევლინება XIX საუკუნის აფრო-ამერიკული ლიტერატურის პროტესტის ლიტერატურის მემკვიდრედ და მიმდევრად;

2) მიუხედავად იმისა, რომ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა განსაზღვრავს ლენგსტონ ჰიუზს როგორც მწერალს, რომელიც მტრულადაა განწყობილი რელიგიის მიმართ, რელიგიური (სულიერი) მოტივები წარმოდგენენ მნიშვნელოვან კომპონენტს მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რის საფუძველიც არის მისი ერთგულება აფრო-ამერიკული ტრადიციისადმი;

3) თავის პოემებში, პოეტი ახერხებს იპოვოს არე, რომელშიაც სოციალური პროტესტის მოტივები შესაბამისობაშია რელიგიურ სულიერებასთან და სადაც ეს ორი კომპონენტი არ გამორიცხავს ერთი მეორეს. მაშასადამე, ყველაზე ოპტიმალური გზა ჰიუზის ნაშრომების ანალიზისათვის გადის როგორც მისი სოციალური, ისე სულიერი შეხედულებების ანალიზის პრიზმაში.

ჩვენი ჰიპოტეზის გასამართლებლად ჩვენ გამოვიყენეთ შემდეგი **კვლევის მეთოდები**:

- კვლევის საგნის შესახებ არსებული ლიტერატურისა და კრიტიკის მიმოხილვა და ანალიზი;
- პოეტის ნაშრომების ლიტერატურული ანალიზი;
- კვლევის ობიექტის ელემენტების სტატისტიკური ანალიზი.

## სიახლე

არსებობს რამოდენიმე საკითხი, რომელთა არსებობა სძენს წინამდებარე დისერტაციას მაღალ ნოვაციურ ხასიათს:

1. ჰარლემის რენესანსისა და ლენგსტონ ჰიუზის შესახებ დაიწერა მრავალი სტატია და წიგნი. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა გარემოებების, უმთავრესად კი, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის იდეოლოგიური ბრძოლის გამო, რომელიც გრძელდებოდა ათწლეულების მანძილზე, იდეოლოგიური კლიშეების შედეგად, რომლებმაც ღრმა ფესვები გაიდგეს ამ ათწლეულების მანძილზე, პოეტის ნაშრომების ზემოაღნიშნული კომპონენტები არ იქნა ძირფესვიანად შესწავლილი. პროტესტის პოემები, რომლებიც შეადგენენ პოეტის მემკვიდრეობის ლომის წილს, ლამის მორცხვად იქნა იგნორირებული, მაშინ როდესაც აქცენტი გაკეთდა ხან მის შედარებით მცირერიცხოვან (თუმცა, უდაოდ, არანაკლებ მნიშვნელოვან) პატრიოტულ პოემებზე სახელმწიფოს შესახებ, როგორცაა, მაგალითად, *Let America Be America Again*, ხან, კიდევ, ნეიტრალურად (იდეოლოგიური თვალსაზრისით) დამუხტულ, ე. წ. „ჯაზურ“ პოემებზე, როგორცაა *The Weary Blues*. დანატოვარი პროტესტის პოემების სახით თითქმის სრულიად უგულებელყოფილ იქნა. მეორეს მხრივ, მარქსისტული და საბჭოთა კრიტიკა, რომელიც ეფუძნებოდა მხოლოდ მისი პოემების რასობრივ/სოციალურ ელემენტებზე, ზოგჯერ აკრიტიკებდა კიდევ პოეტს, რომ იგი იყო არასაკმარისად მემარცხენე. მაშასადამე, მისი შემოქმედების ეს კომპონენტი საჭიროებს სათანადო გაანალიზებას;

2. რაც შეეხება საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია რელიგიურ სულიერებასთან, აქაც სახეზეა გარკვეული ხარვეზები, როდესაც ვლადიმერ ვლადიმეროვი არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ. თეორეტიკანების რელიგიის მძაფრი კრიტიკის გამო, პოეტის შემოქმედების სულიერი კომპონენტი გაანალიზებულ იქნა საკმაოდ ზერელებდ და მხოლოდ რამოდენიმე ნაშრომი თუ ცდილობს ჩაწვდეს უფრო ღრმად საგნის არსს. ამიტომ, აღსანიშნავია, რომ, მაშინ როდესაც პოეტს ასე ღრმად შთააგონებს აფრო-ამერიკული სპირიტუალის და ბლუზი, მისი რელიგიური შეხედულებები, რომლებიც გამოხატულია მის ნაშრომებში, საჭიროებენ უფრო ღრმა კვლევას. ჩვენი დისერტაცია მიზნად ისახავს გააერთიანოს ორი ზემოაღნიშნული კომპონენტი და იპოვოს, თუ რა აქვს ამ ორს საერთო და როგორ შეახამებს მათ პოეტი თავის შემოქმედებაში.

3. კვლევა, რომლის საგანია ლიტერატურა (ლენგსტონ ჰიუზის პოეზია), აანალიზებს პოეტის ლექსებს აფრო-ამერიკული პოეზიის პრიზმის კუთხით. მაშასადამე, ატარებს რა ეს კვლევა ლიტერატურული კვლევის ხასიათს, იგი ესაზღვრება საზოგადოებრივ მეცნიერებას,

აქცევს რა კვლევის ობიექტად ასეთ ისტორიულად მნიშვნელოვან ელემენტებს, როგორებიცაა სოციალური პრობლემები და სულიერი (რელიგიური) ასპექტები;

4. კვლევა ატარებს მრავალდარგობრივ ხასიათს (იხილეთ თეორიული მნიშვნელობა);

5. ეს ჰუმანიტარული ხასიათის კვლევა უნიკალურია იმით, რომ მოიხმარს ისეთ მეთოდს, როგორიცაა სტატისტიკური ანალიზი, რათა კიდევ უფრო ძლიერად დაამტკიცოს ჰიპოტეზა.

### **კვლევის თეორიული მნიშვნელობა**

წინამდებარე კვლევა უნიკალურია იმით, რომ წარმოადგენს მრავალდარგობრივ კვლევას. მისი ობიექტებია ასეთი განსხვავებული კომპონენტები, როგორებიცაა: (ა) ენა/ლიტერატურა; (ბ) ისტორია; (გ) რელიგია; (დ) სოციალური იდეოლოგია; (ე) მუსიკა. ჩვენ ვთვლით, რომ მოვახერხეთ ყველა ამ კომპონენტის ერთად თავმოყრა, რაც დაგვცხმარა კვლევის პრობლემის ანალიზში და კვლევის ჰიპოტეზის დამტკიცებაში. ჯერ-ჯერობით არ არსებობს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეეცდებოდა ერთად განეხილა ეს სხვადასხვა ელემენტები ერთიანი კულტუროლოგიური პერსპექტივით. ამგვარად, წინამდებარე დისერტაციას გააჩნია უნიკალური თეორიული მნიშვნელობა.

### **კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა**

1. ე. წ. „არადემოკრატიული სახით სოციალიზმის“ გამოცდილების გამო ქართული საზოგადოება უკანასკნელ ხანებში მიდრეკილია შეაფასოს სოციო-პოლიტიკური ფენომენები მემარჯვენე პოზიციებიდან. ვფიქრობთ, რომ ეს უარყოფითი ტენდენციაა. ამის გამო საბჭოთა საქართველოს საუკეთესო მიღწევებიც კი ხშირად, უკეთეს შემთხვევაში, ირონიით შეფასდება. მაშინ როდესაც ჩვენი საზოგადოება ცდილობს გახდეს ევროპული თანამეგობრობის ნაწილი, იგი ივიწყებს, რომ სწორედ სოციალურად ორიენტირებული ცნობიერებაა ის, რაც ასხვავებს ევროპას დანარჩენ მსოფლიოს. დასავლელმა ინტელექტუალებმა, ლენგსტონ ჰიუზის ჩათვლით, შეიტანეს ამ მხრივ თავისი წვლილი. მაშასადამე, სასარგებლოა გავაცნოთ ქართულ საზოგადოებრიობას მათი პოზიცია XX საუკუნის აფრო-ამერიკული ლიტერატურის გამოჩენილი პოეტის მაგალითზე.

2. რელიგიური აღორძინების კვალზე, რომელსაც დღეს განიცდის საქართველო, აგრეთვე ამერიკული ფასეულობების საყოველთაო პოპულარობის ფონზე, უაღრესად სასარგებლოა გავაცნოთ ფართო საზოგადოებას ამერიკელი ინტელექტუალის შეხედულება სულიერი საკითხების შესახებ, მისი სრული კომპლექსურობისა და სიღრმის გათალისწინებით.

ზოგჯერ, ჩვენ საზოგადოებას აკლია ისეთი ხედვა ამ საკითხისა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა კუთხით პრობლემის განხილვას.

## დისერტაციის სტრუქტურა

წინამდებარე დისერტაცია შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, 3 თავი და დასკვნები.

### დისერტაციის ძირითადი ნაწილის შინაარსი

თავ I-ს ეწოდება „შავკანიანების ხალხური პოეზიისა და ლენგსტონ ჰიუზის პოეზიის სათავეები: პროტესტი და სულიერება“, რომელიც მოგვითხრობს ლენგსტონ ჰიუზის შემოქმედებით წინამორბედებს ამერიკულ ლიტერატურაში. თავი იყოფა ორ ქვეთავად.

ქვეთავ 1-ს ეწოდება „თანამედროვე აფრო-ამერიკული პოეზიისა და ლენგსტონ ჰიუზის ფილოსოფიური და ლიტერატურული წინამორბედები: პროტესტი და სულიერება“. როგორც ქვეთავის სათაურიდან ჩანს, იგი ახდენს ლენგსტონ ჰიუზამდელი ამერიკული პოეზიისა და ფილოსოფიური მოძღვრებების მიმოხილვას, რაც აუცილებელია დისერტაციაში დასმული პრობლემის სრულყოფილად გარკვევისათვის. ფილოსოფია არაა შემთხვევით ნახსენები, რამეთუ ის დუალიზმი, რომელიც შემჩნეულია ლენგსტონ ჰიუზის შემოქმედებაში, სათავეებს ჰპოვებს აშშ-ს XIX საუკუნის ფილოსოფიაში და ლიტერატურაში. ამისათვის პირველი თავის ქვეთავი 1 მოიხსენიებს ამერიკული აზრის ისეთ უნიკალურ ნიმუშს, როგორცაა ტრანსცენდენტალიზმის ფილოსოფიური მოძღვრება. ამერიკული ტრანსცენდენტალიზმი იქცა თავისებურ ხიდად რიმანტიზმსა და პროტესტის პოეზიას შორის. ზუსტად ტრანსცენდენტალიზმში გამოიკვეთა ის დიქოტომია, რომელმაც შემდომ თავი იჩინა მთელს ამერიკულ ლიტერატურაში და, კერძოდ, ლენგსტონ ჰიუზის პოეზიაში: პროტესტი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, რომელსაც თან ახლავს სულიერების განცდა, რომელიც ეფუძნება ამერიკის რელიგიურ ტრადიციას.

ქვეთავ 1-ში მიმოხილულია ამერიკული ტრანსცენდენტალიზმის ისეთი მამამთავრები, როგორებიცაა რალფ უოლდო ემერსონი და ჰენრი ტორო. ემერსონი გაანალიზებულია, როგორც პიროვნება და მოაზროვნე, რომელიც გამოზრდილ იქნა პურიტანულ ტრადიციაში, რომელიც მან შემდგომში უარყო და გადავიდა უფრო ანთროპოცენტრულად ორიენტირებულ სულიერ ფილოსოფიაში. ჰენრი ტოროს აგრეთვე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ ანალიზში, რადგანაც იგი, ერთის მხრივ, მოიაზრება როგორც



ამერიკული „პროტესტის იდეოლოგიის“ მამად (მისი ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომის „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის“ საფუძველზე), ხოლო, მეორეს მხრივ, მატარებელია იმ ტიპიურად ამერიკული ანთროპოცენტრული ჰუმანიზმის სულიერებისა, რომელიც აღმოცენებულია ამერიკელების მიერ სულიერების როგორც რელიგიურობის ნაშთის გაგებიდან. დისერტაციაში მოყვანილია ტოროს ერთ-ერთი ნაშრომი, სადაც იგი განმარტოვდა ტბის ნაპირთან და გაანალიზა და განიცადა სწორედ ის, რაც ქრისტიანული გაგებით მონანიებისა და გამოსყიდვის ტერმინებით მოიხსენიება, ოღონდ, უკვე ახალი, „ტრანსცენდენტური“ განცდით. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომში ტოროს განიხილავს მდინარეს როგორც განსაკუთრებული, არამატერიალური თვისებების მქონე ობიექტს, თვლის მას სულიერ სიმბოლოდ, რასაც შემდგომში ლენგსტონ ჰიუზიც გამოიყენებს.

თავ პირველში ნახსენებია აგრეთვე უოლტ უიტმენის შემოქმედებითი მემკვიდრეობა. მაშინ როდესაც უიტმენი არის ამერიკის დიდი დემოკრატიული პოეტი, მისთვის არ არის უცხო არც გალაშქვრა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, რაშიც რასობრივი უსამართლობაც შედის, არც ზეცაში მყოფი ზემდგომი მთავარი შემოქმედი არსების - ღმერთის - რწმენა. ოღონდ, ისევე როგორც ტრანსცენდენტალისტების, ემერსონისა და ტოროს, შემთხვევაში, უიტმენის რელიგიურობა ანთროპოცენტრულია, აყენებს რა ადამიანს „ყოველი საგნის განზომილებად“.

დაბოლოს, ქვეთავი 1 საგანგებოდ მოიხსენიებს აფრო-ამერიკული ხალხური პოეზიის ფუძემდებელს, პოლ ლორენს დანბარს. ლენგსტონ ჰიუზის შემთხვევაში, დანბარს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან მან პირველმა გამოიყენა და ჩართო თავის პოემებში აფრო-ამერიკული დიალექტი. თუმცა დანბარს ჰქონდა აგრეთვე კლასიკური ინგლისური პოეზიის მაგალითზე შექმნილი ნიმუშებიც (რომლებსაც იგი, სხვათა შორის, უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე თავის „დიალექტურ“ ლექსებს), სწორედ დიალექტის გამოყენებას პოეზიაში უნდა მოეხდინა გადატრიალება აფრო-ამერიკული პოეზიის ისტორიაში, რაც ერთ-ერთ საფუძველად იქცა ჰარლემის რენესანსისა და, მაშასადამე, ლენგსტონ ჰიუზის პოეზიისა.

თუ ქვეთავი 1 ძირითადად ეხება ლენგსტონ ჰიუზის თეთრკანიანი ამერიკის ლიტერატურულ წინამორბედებს (დანბარის გამოკლებით), ქვეთავ 2-ს ეწოდება „ლენგსტონ ჰიუზის აფრო-ამერიკული წინამორბედები: პროტესტისა და სულიერების ასპექტები მათ ნაშრომებში“. ამ ქვეთავში ნაჩვენებია, თუ რა გზა განვლო აფრო-ამერიკულმა ლიტერატურამ თავისი სათავეებიდან ჰარლემის რენესანსამდე, მასში ჩადებული სოციალური (რასობრივი) პროტესტისა და, ამასთან ერთად, რელიგიაზე დაფუძნებული სულიერების სულისკვეთების კუთხით.

ქვეთავში სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული ე.წ. „ჰამის წყევლის“ არსი და შედეგები. „ჰამის წყევლა“, რომლის ინტერპრეტაციის შედეგად თეთრმა ამერიკამ შავკანიანები მონებად აქცია, იყო სწორედ ის ქვაკუთხედი, რომელმაც აღმოაცენა აფრო-ამერიკული პროტესტის ლიტერატურა/პოეზია. მეტიც, შავკანიანი მონების უმრავლესობას ჯეროდა „ჰამის წყევლისა“. მე-2 ქვეთავში მოყვანილია XIX საუკუნის რამოდენიმე უნიჭიერესი შავკანიანი პოეტის, ბელეტრისტისა და მწერლის პოზიცია, რომლებშიაც ისინი გამობენ თავიანთი შავკანიანი მოძმეების პასიურობას ამ საკითხში. ამასთან ერთად, რაოდენ გასაკვირიც არაა, ისინი არ უარყოფენ თეთრკანიანი ამერიკის მიერ შავკანიანების მიმართ თავმოხვეულ რელიგიურ სისტემასა და ფასეულობებს, არამედ მხოლოდ გამობენ ამ სისტემისა და ფასეულობების გადახრებს და აღიარებენ მისი იდეალების სიწმინდესა და ღირებულებას.

XIX საუკუნეში მონები თავს აფარებდნენ ჩრდილოეთს ე.წ. „მიწისქვეშა რკინიგზის“ (მეტაფორული სახელწოდება) გავლით. მათი შუქურა ღამით გადაადგილების დროს ჩრდილოეთის (პოლარული) ვარსკვლავი იყო. ამიტომ სიტყვა „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ აფრო-ამერიკულ ფოლკლორში და ლიტერატურაში იქცა, ერთის მხრივ, მონობის უღლიდან თავის დაღწევის სიმბოლოდ, ხოლო, მეორეს მხრივ, მონობისა და, საერთოდ, ჩაგვრისადმი დაუმორჩილებლობის მეტაფორად. ამან თავი იჩინა ლენგსტონ ჰიუზის პოეზიაშიც, რომელშიც „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ ხშირადაა მოხსენიებული. ამასთან ერთად, ჰიუზის ლექსებში ნახსენებია „სამხრეთის ვარსკვლავიც“. თუმცა, ამჯერად, სამხრეთის ვარსკვლავი გამოყვანილია როგორც სიმბოლო არა თავისუფლებისა, არამედ სწორედ ჩაგვრისა. აქ „სამხრეთის ვარსკვლავი“ არის სიმბოლო, რომელიც მოიძებნება ამერიკის კონფედერაციული (მონათმფლობელური) შტატების დროშაზე.

ლენგსტონ ჰიუზი თვითონ მულატი იყო, ამიტომ გვერდი არ აუვლია ამ მისთვის მტკივნეული თემისათვის. მულატის თემა აქტუალური იყო XIX საუკუნეშიც, მაგალითად, ვიქტორ სეჟურის ნაწარმოებში. მულატი - გარიყული პიროვნებაა. იგი თეთრი ბატონის ნაბიჭვარი შვილია, რომელსაც არ იღებს არც თეთრი, არც ფერადკანიანი საზოგადოება. ჰიუზს მშვენივრად აქვს ეს გაცნობიერებული, რასაც იგი ასახავს ერთ-ერთ თავის ლექსში.

XIX საუკუნის აფრო-ამერიკული კულტურა გამსჭვალულია „აფრო-ამერიკელი“ მოსეს მოლოდინში, რომელიც გამოიყვანს შავკანიანებს ეგვიპტელების მონობიდან და მიიყვანს ალთქმულ მიწაზე. აფრო-ამერიკულ კულტურაში შავკანიანები თავის თავს იდენტიფიცირებდნენ ებრალებად, რომლებიც დამონებულ იქნენ ეგვიპტელების (ამერიკელების) მიერ. ამიტომაც, ძველი ალთქმის ტრადიციებში, აფრო-ამერიკელები ელოდებოდნენ მოსეს. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, რომელმაც ნებაყოფლობით შეეცადა აეღო თავის თავზე ეს ფუნქცია, თეთრკანიანი მღვდელი ჯონ ბრაუნი იყო. ერთ-ერთ თავის

ესეში ლენგსტონ ჰიუზი მას სწორედ „მოსედ“ მოიხსენიებს. ჯონ ბრაუნი, რომელსაც სურდა მონები გაეთავისუფლებინა და სამხრეთში უტოპიური არამონათმფლობელური შტატის ჩამოყალიბება, კვინტესენციაა პიროვნების, რომელსაც მოაქვს შავკანიანებისათვის როგორც თავისუფლება, ისე სულიერება. „არა მშვიდობა მომაქვს მე თქვენთვის, არამედ მახვილი“ - ეს სიტყვები სახარებიდან ზუსტად ახასიათებს ჯონ ბრაუნის მსოფლმხედველობას, რომელმაც მოყვანილი სიტყვები, როგორც ჭეშმარიტმა პროტესტანტმა-პურიტანმა, პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო.

მაგრამ არა ჯონ ბრაუნს ერგო პატივი გამხდარიყო ეტალონი ჩაგრული შავკანიანებისათვის. ერთ-ერთ თავის პოემაში ლენგსტონ ჰიუზი მოიხსენიებს ფრედერიკ დუგლასს პიროვნებად, რომელმაც აჩვენა შავკანიანებს ის გზა პირდაპირი და გადატანითი გაგებით, რომელსაც ისინი თავისუფლებისაკენ მიყავდა. ფრედერიკ დუგლასი იყო ის პიროვნება, რომელიც თავისუფლებას აყენებდა ყველა ზნეობრივ კატეგორიაზე უფრო მაღლა. ისევე როგორც ჯონ ბრაუნი, ფრედერიკ დუგლასი უკომპრომისოა. მაგრამ ბრაუნისაგან განსხვავებით, დუგლასი უტოპისტი არაა, იგი რეალისტია. სწორედ ამიტომ გახდა იგი შავკანიანი ამერიკელების ჭეშმარიტი მოსე, უჩვენა რა მათ გზა თავისუფლებისაკენ.

თავი II-ს სახელწოდებაა „პროტესტი ლენგსტონ ჰიუზის პოეზიაში: ლიტერატურის მიმოხილვა“. ამ თავში მიმოხილულია ის ძირითადი არსებული სამეცნიერო ლიტერატურა სტატიებისა და წიგნების სახით, რომელიც ეხება პოეტის მიერ თავის შემოქმედებაში ჩაქსოვილი პროტესტის სულისკვეთების ანალიზს. ამავე თავში თავმოყრილია ის მწირი მასალებიც, რომლებიც აანალიზებს ჰიუზის ლიტერატურაში ჩაქსოვილ რელიგიურ/სულიერ შეხედულებებს. ამასთან დაკავშირებით, აქ აღსანიშნავია შემდეგი რამ: როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, კრიტიკა, რომელიც ეხება მის პროტესტის პოემებს, მიდრეკილია აღფრთოვანება გამოხატოს იმ ლექსების მიმართ, რომლებიც მიეკუთვნება „პატრიოტულ“ ლექსებს, ანუ, რომლებიც, თუმცა, აკრიტიკებს ამერიკულ ყოფიერებას, მაგრამ ჯერა ამერიკული დემოკრატიის ურყეობის, უძლეველობის და საბოლოოდ გამარჯვებისა. ეს ლექსები არ აყენებენ ეჭვის ქვეშ ამერიკული სახელმწიფო წეს-წყობილების უტყუარობასა და ჭეშმარიტებას. ხოლო რაც შეეხება პოეტის ისეთ პროტესტის ლექსებს, რომლებიც მძაფრად აკრიტიკებენ ამერიკულ წეს-წყობილებას და თავაზობენ ამ წეს-წყობილების ალტერნატივას თუნდაც სოციალისტური, ან რაიმე სხვა ფორმის სახით, კრიტიკა ამჯობინებს თავი აარიდოს მას. ეს გასაგებიცაა. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ცივმა ომმა, რომელიც მოიტანა XX საუკუნემ, საკმაოდ შეზღუდა დასავლეთში მემარცხენე იელფერის შემოქმედების არსებობის

მართლზომიერება, რასაც, რასაკვირველია, ვერც ლენგსტონ ჰიუზის პოეზია გაექცა. სწორედ ესაა ის თეთრი ლაქა, რომლის შევსებასაც წინამდებარე დისერტაცია შეეცადა.

მეორე ასპექტი პოეტის პოეზიის ანალიზთან მიმართებაში, რომელიც მოყვანილია თავ II-ში არის არსებული ლიტერატურა მის პოეზიაში სულიერი (რელიგიური) მოტივების შესახებ. აქაც სიტუაცია არაორაზროვანია: გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ პოეტი არ იყო ორთოდოქსალურად რელიგიური ადამიანი, არსებული კრიტიკა ემყარება მის ისეთ ლექსებს, რომლებშიაც იგი ირონიულად თუ სარკასტულად მოიხსენიებს რელიგიასა და ეკლესიას. ხოლო რაც შეეხება ლექსებს, სადაც პოეტი ერთგულია მისი წინაპრებისა და თანამომემების რელიგიურ-სულიერი ტრადიციისა (რომელთაგან ზოგიერთშიც იგი, სხვათა შორის, ღმერთისადმი ლოცვასაც კი აღავლენს), ეს ნიმუშები არ არის ჯეროვნად გაანალიზებული. აქაც საქმე გვაქვს ზეგავლენასთან იმ სტერეოტიპების შედეგად, რომლებიც ჩამოყალიბდა ლენგსტონ ჰიუზის როგორც 20-ანი და 30-ანი წლების „მხოლოდ მეამბოხე“ პოეტის, მიმართ. აქაც ჩვენ დავსახეთ ამოცანად აღმოგვეჩხრა არსებული თეთრი ლაქები.

თავი III-ს სახელწოდება არის „ლენგსტონ ჰიუზი და „იმედგაცრუების ათწლეულები“: პროტესტიდან სულიერებამდე“. ეს თავი წინამდებარე დისერტაციის ცენტრალური ნაწილია, რამეთუ მასში ხდება დასმული პრობლემის განხილვა და ჰიპოტეზაში ჩამოყალიბებული დებულებების დასაბუთება.

როგორც დისერტაციის სახელწოდებიდან ჩანს, ლენგსტონ ჰიუზი წინააღმდეგობრივი პოეტია. მის პოეზიას ახასიათებს არა მარტო რასობრივი თუ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი (მემარცხენე მსოფლმხედველობა), არამედ იდეალიზმიც, რომელიც გამოიხატება ღვთაების მიმართ გამოხატულ მოწიწებაში და ლექსებში მისდამი მიმართვებში. ჩვენ გვინტერესებს სწორედ ის, თუ როგორ და რატომ გვირგვინდება ჰიუზის პოეტური პროტესტი, მისი დაუმორჩილებლობა მიწიერი ყოფიერებისადმი, ღვთაების მიმართ რწმენით, ანუ მორჩილებით არამიწიერი ძალისადმი.

ამისათვის, პირველ რიგში, თავი III მოიხსენიებს აფრო-ამერიკელების ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტს, როგორცაა აფრო-ამერიკელების ემანსიპაცია, ანუ გათავისუფლება მონობისაგან. ამ ფაქტს ჰიუზი უძღვნის მთელ პოემას, რომელსაც „ბალადას“ არქმევს. ამ ლექსში იგი იყენებს ე.წ. „რესპუბლიკის საბრძოლო ჰიმნს“ (The Battle Hymn of the Republic), რომელიც ურჩმა ჯონ ბრაუნმა გამოიყენა თავისი ამბოხის დროს. ჰიუზის აზრით, ემანსიპაცია - ნიშანსვეტია ახალი ეპოქისა აფრო-ამერიკელების ისტორიაში, რომელსაც ახალი ფასეულობები და საკუთარი ისტორიისა და მომავლის ახალი ხედვა მოაქვს.

თავის ლექსებში თავისი თანამომემების სახელით მეტყველებისას, ლენგსტონ ჰიუზს შთააგონებს სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობის აფრო-ამერიკელი წინამორბედების

მაგალითები და მოღვაწეობა, რომლებმაც უკვდავყვეს თავიანთი სახელები არა მარტო თავიანთი საქმეებით, არამედ იმ იდეებითაც, რომლებიც მათ გამოხატეს წერილობით. ფილის უიტლი, ფრედერიკ დუგლასი, ბუკერ ტ. ვაშინგტონი, პოლ ლორენს დანბარი არიან შუქურები, რომლებმაც უნდა გაანათონ და რომლებიც ანათებენ ეკლისებრ გზას ფიზიკური და სულიერი განთავისუფლებისაკენ. ისინი არიან შავკანიანი რასის „კონგრესმენები“, რომლებმაც მაგალითი უჩვენეს თავიანთ თანამომძეებს და ასწავლეს მათ, თუ როგორ იმოქმედონ ცივ და მტრულ გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ ჯონ ბრაუნი თეთრკანიანია, იგი აგრეთვე შუქურაა, რომელიც აჩვენებს სწორ გზას. როგორც აღინიშნა, ჰიუზი მას „მოსესაც“ კი ემახის, ახასიათებს რა მის კოსმოპოლიტურ, ინტერნაციონალურ ბუნებას. სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ 1920-ანი წლების ათწლეულში, პროტესტის ლექსების რიცხვი უტოლდება 85%-ს ამ პერიოდში დაწერილ ყველა ლექსის რაოდენობიდან; 1930-ანი წლების ათწლეულში - 43%-ს; 1940-ანი წლების - 67%. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ პროტესტი როგორც პოეტური განწყობის გამომხატველი ხერხი, შეადგენს ჰიუზის ყველაზე ნაყოფიერი ათწლეულების შემოქმედების ლომის წილს, მის ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს.

მაგრამ რამ მოიტანა ემანსიპაცია? წინამდებარე დისერტაცია აანალიზებს ისტორიას და გამოაქვს დასკვნა, რომ ემანსიპაციას საფუძველი ჩაუყარა ეგრეთ წოდებულმა მეორე დიდმა რელიგიურმა გამოღვიძებამ, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა. თუ პირველი დიდი რელიგიური გამოღვიძების (რომელიც XVII საუკუნეში მოხდა) უმთავრესი მოტივი იყო წინასწარ განსაზღვრა, განგება, რომელიც კალვინისტურ მოძღვრებაზე იყო დაფუძნებული, რომელიც, თავის მხრივ, პურიტანული სიმკაცრის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა „ჰამის წყევლის“ გამართლებასა და შავკანიანთა დამონებას, მეორე დიდი გამოღვიძება ემყარებოდა უფრო ჰუმანისტურად ორიენტირებულ პრინციპებსა და იდეალებს. აქ ღვთის მიერ ადამიანის ბედის წინასწარ განსაზღვრა (განგება) იცვალა ადამიანის თავისუფალი ნებით, რომელიც ღვთაებრივ პრინციპებზე იყო დამყარებული, ანუ მეორე დიდი გამოღვიძება გახდა უფრო ანთროპოცენტრული. ამრიგად, მეორე დიდმა გამოღვიძებამ გადადგა დიდი ნაბიჯი სახარებისაკენ, სადაც ადამიანის ნება განსაზღვრავს მის მომავალს. სწორედ მეორე გამოღვიძების შედეგად ჩამოყალიბდა აბოლიციონისტების მოძრაობა, რომელმაც საბოლოო შედეგი სამოქალაქო ომში და მონათმფლობელობის გაუქმებაში ჰპოვა. სწორედ მეორე დიდი გამოღვიძების შედეგად უსაზღვროდ გაიზარდა შავკანიანების მრევლი, რომელიც მიაწყდა ბაპტისტურ, მეთოდისტურ და სხვა პროტესტანტულ ეკლესიებს, რომლებშიც, როგორც მათ სჯეროდათ, მათ დამშვიდება და ხელახალი რწმენა ჰპოვეს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი

ისტორიული მომენტი ალენგსტონ ჰიუზის მრწამსის გასაგებად, რომელიც უფრო მეორე, ვიდრე პირველი, გამოღვიძების იდეალების ხასიათს ატარებს.

თავის ლექსებში ჰიუზი ამჟღავნებს განსხვავებულ დამოკიდებულებას ღმერთის, უფლის მიმართ. იგი რადიკალურად არ მიიღებს ოფიციალური ამერიკის პურიტანულ ეკლესიას, რომელიც მის თვალში მხაგრელი ინსტიტუტია. ზოგიერთ მის ლექსში სიტყვა „ღმერთი“ ეკლესიის აღმნიშვნელ მეტფორადაა ქცეული. ჰიუზი დაუნდობელია რელიგიის მიმართ, როდესაც იგი ფარისევლობისა და ავტორიტარიზმის თვისებებს ატარებს. ამასთან ერთად, მთელ რიგ თავის პოემებში იგი ფაქიზ, მოსწრებულ სიყვარულს გამოხატავს ქრისტეს, როგორც ტანჯულების მფარველის მიმართ. ერთ-ერთ ასეთ მის ლექსში ქრისტე ზანგადაც კია გამოყვანილი. ეკლესია როგორც მხაგრელი მისთვის მიუღებელია, ქრისტიანობა როგორც სიყვარულის მრწამსი კი - მიაღებია. ამაში იგი ნამდვილად უერთდება შავკანიანთა „მოსეს“ - ფრედერიკ დუგლასს, რომელმაც თქვა, რომ მისთვის უცხოა ბევრი ამერიკელი კლერიკალის ფარისევლობა, მაგრამ არაფერი აქვს საწინააღმდეგო ქრისტეს სწავლების მიმართ.

მეორე გამოღვიძებამ თავი იჩინა სამოქალაქო ომში, რომელსაც მოყვა ე.წ. „რეკონსტრუქციის“ (ანუ, აღმშენებლობის) პერიოდი. თავის ესეებში და ლექსებში ალენგსტონ ჰიუზი ამახვილებს ყურადღებას ამერიკული საზოგადოების ამ მნიშვნელოვან ნიშანსვეტზე. მისი აზრით, ეს არის პერიოდი, როდესაც ამერიკა პირველად მის ისტორიაში ამერიკას დაემსგავსა, ანუ, ფორმალურად მაინც დაიწყო ამერიკული ოცნების განხორციელება. მართლაც, ეს პერიოდი იყო ის რომანტიკული ეპოქა შავკანიანების ისტორიაში, როდესაც მათ პირველად ირწმუნეს თავიანთი თავის სრულფასოვნება ამერიკის თეთრკანიან მოქალაქეებთან მიმართებით. „ხელები გუთანზე, არ მოეშვათ!“ - იმეორებს ჰიუზი აფრო-ამერიკელების ცნობილი სიმღერის სიტყვებს. „რეკონსტრუქციამ“ გააერთიანა ამერიკა, მისცა საშუალება შავკანიანებს გამხდარიყვნენ მუშები, მიეღოთ განათლება, შეექმნათ ოჯახები და ელოცათ ეკლესიებში. „ჰამის წყევლა“ მოხსნილი იყო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ აფრო-ამერიკელებმა მიაღწიეს „აღთმულ მიწას“ და რომ ამიერიდან მათ არაფერი შეუშლიდათ ჰარმონიულად ეცხოვრათ თავიანთ თეთრკანიან მოქალაქეებთან ერთად.

მაგრამ სულ მალე აფრო-ამერიკელებს უნდა გამოეცადათ უდიდესი იმედგაცრუება თავიანთ ისტორიაში. 1877 წელს საბოლოოდ იმარჯვებს რეაქცია, რომელიც იღებს რასობრივი დისკრიმინაციის ხასიათის მთელ რიგ კანონებს, რომლებიც უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს ამერიკის შავკანიან მოსახლეობას. ამ პერიოდს (1877 – XX საუკუნის დასაწყისი) მეცნიერები უწოდებენ „იმედგაცრუების ათწლეულებს“ (Decades of Disappointment), აგრეთვე რასობრივი ურთიერთობების „ნადირს“ (The Nadir).

ლენგსტონ ჰიუზი „ნადირის“ ტიპიური შვილია. იგი აღიზარდა რასობრივი შეუმწყნარებლობით გაჟღენთილ გარემოში, რამაც თავი იჩინა მის შემოქმედებაში. მის ლექსებში გამოხატულია პროტესტი დაკანონებული უსამართლობის მიმართ, რომელსაც დღითიდღე განიცდიან შავკანიანები. ამ უსამართლობას თან ყვება ოფიციალური ამერიკის - რომელიც მთლიანად თეთრკანიანებითაა წარმოდგენილი - პროტესტანტული ეკლესიების პოზიცია, რომელიც ამართლებს ამ უკანონობას. არაა გასაკვირი, რომ ჰიუზის პოზიცია ამგვარი ეკლესიის მიმართ უარყოფითია. ამასთან ერთად, ჰიუზს ახასიათებს ღმერთის მიმართ ნატიფი, მოსწრებული დამოკიდებულება. ეს დამოკიდებულება ძლიერდება აფრო-ამერიკელების რელიგიური ტრადიციის საფუძველზე, რომელმაც დასრულებული ხასიათი მიიღო მეორე დიდი გამოღვიძების დროს. სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ 1920-ანი წლების ათწლეულში მის მიერ დაწერილი ლექსების 13% ახსენებს ღვთაებას სხვადასხვა ხერხით; 1930-ანებში ეს ციფრი უდრის 10%; 1940-ან წლებში - 6%-ს; 1950-ან წლებში - 2%. ჰიუზისათვის, *თეთრი ქრისტე* (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქრისტიანობა, რომელიც თავმოხვეულია თეთრი ადამიანების მიერ შავკანიანების მიმართ) არის ტირანიისა და ჩაგვრის სიმბოლო, ხოლო *შავი ქრისტე* (შავკანიანების მიერ აღიარებული ქრისტეს იმიჯი) არის სიყვარულისა და თავისუფლების სიმბოლო. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ, ჩვენის აზრით, ასეთი დაყოფა, რომელიც ფაქტობრივად მოახდინა პოეტმა, არაა დეკლარატორია ჩვენი (მართლმადიდებლური) კულტურის თვალსაზრისით, რომელსაც, საბედნიეროდ, არ გააჩნია ჩაგვრის ისეთი ისტორია, როგორც განვლო აშშ-მ. ამასთან ერთად, ორთოდოქსალური ქრისტიანობა სწორედ იმით გამოირჩევა სხვა ქრისტიანული მიმდინარეობებისაგან, რომ ცხოვრებაში ატარებს სიტყვებს სახარებიდან, სადაც ნათქვამია, რომ „არ არსებობს არც იუდეველი, არც ელინი, არც ბარბაროსი, არც რომაელი“, ანუ, რომ ყველა რასის წარმომადგენელი თანაბრადაა წარმოდგენილი ღვთსა და ერის წინაშე.

აფრო-ამერიკული რელიგიური ტრადიციის ერთ-ერთი უდიდესი კულტურული მონაპოვარია შავკანიანების რელიგიური ჰიმნები, რომლებსაც ზანგები „სულიერ სიმღერებს“ (spirituals) უწოდებენ. „სპირიტუალები“ წარმოადგენენ მონათმფლობელურ ხანაში შექმნილ სიმღერა-ჰიმნებს, რომლებშიაც გამოხატულია შავკანიანი მონების დამოკიდებულება ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის მიმართ. აღიქვამენ რა თავის თავს „ჰამის მემკვიდრეებად“, შავკანიანები მორჩილნი არიან თავისი ბედის მიმართ. ამ სიმღერებში ისინი მიმართავენ ღმერთს და სთხოვენ მას შეამსუბუქოს მათი დღევანდელი ყოფიერება და მისცეთ უკეთესი ყოფიერება იმქვეყნად. ამასთან ერთად, აღიქვამენ რა თავის თავს ეგვიპტის ულლის ქვეშ მყოფ „ისრაელად“, აფრო-ამერიკელები გამოხატავენ იმედს, რომ მოვა დრო და გამოჩნდება ვინმე

(მოსე), რომელიც მათ თავს დააღწევინებს მონობიდან და მიიყვანს აღთქმულ მიწამდე.

როგორც ვნახეთ, ეს ასე გარკვეულწილად მოხდა კიდევ რეკონსტრუქციის წლებში.

ლენგსტონ ჰიუსს ადაფრთოვანებს „სპირიტუელსი“. იგი მას აფრო-ამერიკული კულტურის ერთ-ერთ მარგალიტად მიიჩნევს. მაგრამ „სპირიტუელსი“ არ არის მთლად ის, რითიც ოპერირება სურს ჰიუსს. ჰიუსი დღევანდელი ადამიანია, მას სურს ამერიკული იმედის რელიზაცია მოხდეს დღეს და არა ხვალ. ამასთან ერთად, ნათელია, რომ ამერიკული იმედის რელიზაცია „დღეს“ ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგან მძვინვარებს „ნადირი“. ამიტომ ჰიუსი მიმართავს აფრო-ამერიკული კულტურის განსხვავებულ ფორმას, რომელიც უფრო პასუხობს მის ბუნებას.

როდესაც დადგა „ნადირის“ წლები, „სპირიტუელსი“ უკვე აღარ პასუხობდა რეალობას. „ისრაელი“ მონობის უფლიდან დაღწეული იყო, მაგრამ ჭეშმარიტი თავისუფლება არ მიუღია. „აღთქმული მიწა“, რომელიც იყო ასე ახლოს, ასე მიმზიდველად გამოიყურებოდა, უცებ ერთბაშად გაქრა, როგორც მირაჟი უდაბნოში. შავკანიანებისათვის ეს უდიდეს იმედგაცრუებად იქცა. ძველი ჩავვრა ახალმა ჩავვრამ შეცვალა. მაშასადამე, საჭირო იყო ახალი ხელოვნებითი ფორმა, რომელიც ასახავდა ახლად შექმნილ ვითარებას. ამ ფორმად იქცა ბლუზი.

ბლუზი - „ნადირის“ შვილია. ლენგსტონ ჰიუსი აგრეთვე არის „ნადირის“ შვილი. ამიტომ სწორედ ბლუზი ხდება ის იარაღი, რომლითაც ჰიუსი გამოთქვამს თავის იმედგაცრუებას, გულგატეხილობას, პროტესტს შექმნილი რეალობის მიმართ. ერთ-ერთ თავის ესეში ჰიუსი აღნიშნავს, რომ „სპირიტუელსისაგან“ განსხვავებით, რომელიც „ხვალინდელი დღის“ ჰანგს წარმოადგენს, ბლუზი არის ჰანგი „დღევანდელი დღისა“. ამასთან ერთად, თუ „სპირიტუელსი“ გამოხატავს იმედს, ბლუზი გამოხატავს სასოწარკვეთას, იმედის გაცრუებას. „სპირიტუელსი“ არის მორჩილება, ბლუზი არის პროტესტი. „სპირიტუელსს“ ახასიათებს აფრო-ამერიკული მუსიკალური ფოლკლორის ისეთი საინტერესო მეთოდი, როგორიცაა „დახილ-პასუხი“ (call-and-response). ეს მეთოდი გამოიყენებოდა აფრო-ამერიკელი მონების მიერ სამუშაო ველზე, როდესაც ისინი მღეროდნენ თავის „ველის სიმღერებს“ (work songs). ეს მეთოდი გამოყენებულია ჰიუსის მიერაც თავის პოეზიაში. მაგალითად, თუ ტიპიურ ბლუზურ კუპლეტს სამი ხაზი გააჩნია, ჰიუსი ტეხავს თითო ხაზს ორ ხაზად, რის შედეგადაც ექვსი ხაზი წარმოიქმნება, რომელთაგან პირველი, მესამე და მეხუთე აღიქმება როგორც „დახილი“, ხოლო მეორე, მეოთხე და მეექვსე - როგორც „პასუხი“. ამით პოეტი მნიშვნელოვნად ამდიდრებს ბლუზის სტრუქტურას.

ლენგსტონ ჰიუსის ბლუზიც შეიცავს პროტესტს, მაგრამ მისი აქტიური, მეამბოხე, „მემარცხენე“ პროტესტისაგან განსხვავებით, აქ მისი პროტესტი ჩივილს, მწუხარებას (lament)



გამოხატავს. ბლუზის სპეციფიკიდან გამომდინარე, პოეტი არ გამოთქვამს იმედს ხვალინდელი დღის მიმართ, არამედ მწუხარებას დრევანდელი სავალალო მდგომარეობის თაობაზე.

მუსიკალური თვალსაზრისით, ბლუზი - უმეტესწილად თორმეტაქტიანი თემაა, რომელშიაც გამოხატულია მთხრობლის ჩივილი ან სასოწარკვეთა. ეს მიიღწევა ამ მუსიკალური ფორმაში ეგრედ წოდებული „სევდიანი ბგერების“ (blues notes) გამოყენებით, რომლებითაც აფრო-ამერიკელები აჯერებენ მინორული პენტატონიკის მუსიკალურ კილოს. როგორც ერთ-ერთმა ბლუზის მუსიკოსმა აღნიშნა: ბლუზი - ეს არის ის, როდესაც კარგი ადამიანი თავს ცუდად გრძნობსო.

ბლუზი საერთოდ და ლენგსტონ ჰიუზის ბლუზი კერძოდ, მსოფლიო კულტურის საინტერესო ფენომენია სულიერების თვალსაზრისით. ბლუზური ჰარმონია წარმოიქმნა აფრიკის კონტინენტზე, სადაც ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ იყო შეღწეული. ისევე როგორც ქრისტიანობისა და სხვა რელიგიების (მაგ., ბუდიზმში) კონცეფციებში ტანჯვის ფენომენს განსაკუთრებული ადგილი უკავია, აფრო-ამერიკულ რელიგიურ ტრადიციაში არსებობს *მაგარა-ს* კონცეპცია, რომელიც წარმოადგენს, ასე ვთქვათ, „დაუკმაყოფილებლობის ხარისხს“, ანუ იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის ნაწილს, რომელსაც ადამიანი მოკლებული გახდა მის მიერ მიყენებული ტანჯვის შედეგად. ბლუზის ფენომენის ამ კუთხით განხილვისას, ბლუზი მოგვითხრობს სწორედ *მაგარა-ს* შესახებ, ანუ იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის სეგმენტის შესახებ, რომელიც ვერ მიიღო ადამიანმა, რადგანაც ტანჯვა, ისევე როგორც ქრისტიანობაში, ბლუზის ქვაკუთხედაა. სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ 1920-ანი წლების ათწლეულში დაწერილი ბლუზის პოემების 29% სხადასხვა გზით მოიხსენიებენ ღვთაებას; 1930-ან წლებში ეს ციფრი უდრის 40%-ს; 1940-ან წლებში - 36%-ს; 1950-ან წლებში - 50%-ს. როგორც ვხედავთ, ბლუზის არეალი აღმოჩნდა უფრო სულიერი კატეგორია, ვიდრე, ზოგადად, ყველა მისი ლექსების არეალი, რაც ამ ჟანრს სძენს საგანგებო ადგილს როგორც პოეტის მემკვიდრეობის, ისე მსოფლიო კულტურის მასშტაბით.

## დასკვნა

როდესაც ვაყალიბებდით ჩვენს ჰიპოტეზას, ჩვენი ცოდნა აფრო-ამერიკელი მწერლისა და პოეტის ლენგსტონ ჰიუზის სოციალური მოტივების მატარებელი პროტესტის პოეზიისა და მისი მემკვიდრეობის რელიგიური და რწმენის თემის შესახებ საკმაოდ ზოგადი იყო. იგივე შეიძლება ითქვას მისი ლიტერატურული (პროზაული) დანატოვრის შესახებ. მიუხედავად

ამისა, ეს საკმარისი იყო, რათა განგვესაზღვრა მისი შემოქმედების ორი კომპონენტი, რომლებიც გამოყენებულ იქნა ჩვენი ჰიპოტეზის ასაგებად.

ჩვენი ჰიპოტეზა ჩამოყალიბებულ იქნა საგნის მთელი კომპლექსურობის გათალისწინებით, რომელშიც შევიდა ლიტერატურის საკითხები, ისტორიული ფონი, მუსიკოლოგიური ფაქტები, აგრეთვე რელიგიური ინტერპრეტაცია. ყოველი ეს აუცილებელი იყო ასეთ, ერთის შეხედვით, შეუთავსებელ ფენომენტთა გასაანალიზებლად, როგორებიცაა რასობრივი/სოციალური პროტესტი და რელიგიური სულიერება, რომლებსაც პოეტი იყენებს თავის ლექსებში, მათი წარმომავლობის განსასაზღვრავად და ჩვენი ინტერპრეტაციის მოსაწოდებლად.

ამ თვალსაზრისით ლენგსტონ ჰიუზის პოეტური მემკვიდრეობის სრულყოფილად გაანალიზების შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია მტკიცება, რომ ჩვენი ჰიპოტეზის ძირითადი პუნქტები სწორი აღმოჩნდა. კერძოდ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლენგსტონ ჰიუზის შემოქმედებითი გზა თითქოს სარკისებურად ასახავს ძირითად შეხედულებებსა და იდეებს, რომლებიც წარმოდგენილია მის წინამორბედ აფრო-ამერიკულ ლიტერატურაში. განსხვავება იმაშია, რომ ლენგსტონ ჰიუზის ქმნილებები, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც უმნიშვნელოვანესებს უწოდებენ, განეკუთვნებიან სპეციფიურ საზოგადოებრივ-ისტორიულ პარადიგმას, რომელსაც უწოდებენ „მეზობოქრე ოციან წლებს“, „ჯაზურ ეპოქას“, თუ „ჰარლემის რნესანსს“. შავკანიანი რასის თავისი უფლებებისათვის ბრძოლისა და თავის სულიერ ტრადიციაზე დაყრდნობის თვალსაზრისით, ეს პარადიგმა ხასიათდება იმ ძირითადი ტენდენციებით, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ აფრო-ამერიკული ისტორიის მთელი წინა პერიოდის მანძილზე და გამდიდრებულ იქნა აფრო-ამერიკული კულტურის ისეთი ახალი მნიშვნელოვანი კომპონენტით, როგორიცაა ბლუზური მუსიკა და პოეტიკა. უკანასკნელი იქცა კიდევ ერთ ბურჯად, რომელზედაც ჰიუზმა ააგო საკუთარი გაგება იმ პრობლემებისა, რომლებსაც აწყდება შავკანიანი რასა თავის ქვეყანაში. პოეტი ავითარებს მისი დიდი ლიტერატურული და ისტორიული წინამორბედების მიერ ჩამოყალიბებულ იდეებს და, ამასთან ერთად, ამ იდეების გასავითარებლად, იყენებს მისთვის თანამედროვე მხატვრულ და ფოლკლორულ არსენალს, რომელიც აღმოცენდა XX საუკუნის დასაწყისში აფრო-ამერიკულ კულტურაში. **როგორც პროტესტის პოეტი, ლენგსტონ ჰიუზი აგრძელებს ხაზს, რომელიც ლიტერატურაში დაიწყო სამოქალაქო ომამდე მოღვაწე მწერლებმა და გვევლინება როგორც მაცნე, რომელიც ებრძვის ზანგების ისტორიის ბნელ პერიოდს - „ნადირს“.**

მაშინ როდესაც ჰიუზი იღებს მაგალითს თავისი დიდი წინამორბედებისაგან და აპროტესტებს მის ირგვლივ მძვინვარე სოციალური თუ რასობრივი ხასიათის

უსამართლობას, იგი ერთგული რჩება აფრო-ამერიკული კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტისადმი - ღმერთის რწმენისადმი. მართალია, ზოგიერთი მისი პოემა შეიცავს ირონიასა და სარკაზმს ღმერთისა და რელიგიის შესახებ, მაგრამ პოეტი გამოხატავს ამ გრძნობებს „თეთრების რელიგიის“ გადახრების, ამერიკაში რელიგიის როგორც ინსტიტუტის ზოგიერთი წრეების ფარისევლობის მიმართ, რომელი რელიგიაც, როგორც წესი, მმართველ წრეებს ემსახურება. ისინი, ჰიუზის აზრით, სხვადასხვა გზით ახორციელებენ ამერიკის ფერადკანიანი მოსახლეობის ჩაგვრას, რაც XX საუკუნის რასობრივი ურთიერთობების „ნადირს“ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა მითითებების, მეტაფორების, მიმართვებისა და ლოცვების გზითაც კი ჰიუზი აჩვენებს, რომ მისთვის როგორც აფრო-ამერიკელისათვის, ღმერთის რწმენა მნიშვნელოვანი და აუცილებელიც კია. ჰიუზის რელიგიისადმი ორაზროვანი დამოკიდებულების პოზიტიურ ასპექტს აძლიერდებს აფრო-ამერიკული კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი ფენომენი, როგორცაა „სპირიტუელის“ მუსიკა. პოეტს მიაჩნია, რომ „სპირიტუელის“ წარმოადგენს აფრო-ამერიკული ტრადიციის ერთ-ერთ ქვაკუთხედს, რამაც გადაარჩინა ფერადკანიანი ადამიანი გადაშენებისაგან, რაც, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა გულმოწყალე ღმერთისადმი ძლიერი რწმენის გარეშე. „სპირიტუელის“ (როგორც მუსიკალური ჟანრი) არის ბურჯი, რომელიც ეხმარება აფრო-ამერიკელებს მათ გასაჭირში და ტანჯვაში. მიუხედავად ამისა, პოეტის მეამბოხე სული ვერ კმაყოფილდება მხოლოდ ხვალისდელი დღის იმედებით და მითუმეტეს - უკეთესი არსებობის იმედებით იმქვეყნად. ჰარლემის რენესანსის მგოსანს უნდა არა მარტო დამშვიდება, არამედ უკეთესი ყოფა ახლა, დღეს, დროის ამ მომენტში. ამიტომ იგი ირჩევს აფრო-ამერიკული ფოლკლორის კიდევ ერთ დიდ ტრადიციას - ბლუზს - რათა უფრო მიწიერი გახადოს ზანგური „სპირიტუელის“ აზრები და ოცნებები. ბლუზის შემწეობით პოეტი ჰპოვებს „სპირიტუელების“ მიერ მოწოდებული გზავნილის სეკულარულ ვარიანტს, რითაც იგი შეამსუბუქებს თავისი თავის და თანამომემების ტანჯვას, რომელშიც იმყოფება შავკანიანი რასა. თავის პოეზიაში იგი იწვევს ტანჯვას მისი გაპროტესტებით ჩივილის ფორმით. ამრიგად, თავის პოეზიაში, ჰიუზი ახერხებს შეათავსოს ორი - ერთი შეხედვით შეუხამებელი - ინსტინქტი: ღმერთის რწმენა და აქტიური მიწიერი ქმედება; თავმდაბლობა ბედისწერის უღმობლობის წინაშე და ცხოვრებისათვის რადიკალური ბრძოლა; მორჩილება უბედურების მიმართ და გზების ძიება მის აღმოსაფხვრელად.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. G. Shaduri (2010). The Motive of Disappointment in the Poetry of Langston Hughes and the Blues. To be published in *INTELECTI Periodical Scientific Journal* (September, 2010).
2. G. Shaduri (2010). Double Consciousness and the Poetry of Langston Hughes (On the Example of “The Weary Blues”). *Scientific Journal of International Black Sea University*, Vol. 2, No.1.
3. G. Shaduri (2009). The Structure of American Blues. Delivered at the International Conference of American Studies. (International Black Sea University). Published in *American Studies Periodical*, 2<sup>nd</sup> Edition (2009). Faculty of Humanities, Department of American Studies.